იმედი

შენ არ ხარ მარტო!

ჯოის მაიერი



იმედი

რთული პერიოდისთვის

ჯოის მაიერის მიერ

Hope for Difficult Times by Joyce Meyer, Georgian
© 2021 Joyce Meyer Ministries
All rights reserved. This book or any portion thereof may not be reproduced or used in any amount whatsoever without the express written permission of the publisher except for the use of brief quotations in a book review.
Printed in the United States of America. ISBN 978-1-951225-27-8
Joyce Meyer Ministries P.O. Box 655
Fenton, Missouri 63026 joycemeyer.org

„იმედი რთული პერიოდისთვის“, ჯოის მაიერი, ქართული
2021 Joyce Meyer Ministries
ყველა უფლება დაცულია. აქედან გამომდინარე ამ წიგნის ან მისი რაიმე ნაწილის წარმოება ნებისმიერი რაოდენობით არ შეიძლება მასზე დატანილი წერილობითი ნებართვის გარეშე გამომცემლის მიერ, გარდა მოკლე ციტატის გამოყენებისა წიგნის მიმოხლივაში.
დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში.
ISBN 978-1-951225-27-8
Joyce Meyer Ministries P.O. Box 655
Fenton, Missouri 63026 joycemeyer.org

სარჩევი

5 შესავალი

9 იმედით სავსე

15 რა უნდა ქნა, თუ გაიჭედე

21 იმედიანი დამოკიდებულების არჩევა

27 ღმერთზე მინდობა ქარიშხლის დროს

33 ყველაფერი ახალი

39 როგორ აიხედო მაღლა, როცა თავს
დაცემულად გრძნობ

47 რთულ პერიოდს გადიხარ?

შესავალი

მოხარული ვარ, რომ ამ წიგნის წაკითხვა გადაწყვიტე.

ახლა შესაძლოა მტკივნეულ პერიოდს გადიხარ ან ემოციებით დატვირთული ხარ იმის გამო, რაც შენს ცხოვრებაში ხდება. მაშინ, როცა ზუსტად არ ვიცი შენი გარემოებები, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი:

შენ არ ხარ მარტო! ღმერთს უყვარხარ და ჩვენც გვიყვარხარ.

სინამდვილეში, ეს წიგნი შენს გასამხნევებლად და შენი გულის იმედით ასავსებად დავწერე. მინდა იცოდე, რომ ახლაც კი, იმ ყველაფრის შუაგულში, რასაც გადიხარ, ღმერთი შენს მხარესაა და არაფერია მასთან ერთად შეუძლებელი (იხ. ლუკას 1:37). მას კეთილი გეგმა აქვს შენი მომავლისთვის და იგი უკვე მოქმედებს სცენის მიღმა შენს დასახმარებლად (იხ. იერემიას 29:11).

შესაძლოა, მოულოდნელად ტრაგედიას შეეჯახე და ვერ ხვდები, როგორ მოიკრიბო ძალა, რომ წინ წახვიდე. ან შესაძლოა, რთული სამედიცინო პრობლემა გტანჯავს და ექიმთან ვერ მიდიხარ. ვიცი, რომ უამრავი ადამიანი ისე ცხოვრობს დღიდან დღემდე, რომ ისიც კი არ იციან თავი როგორ გამოიკვებონ ხვალ.

როცა რაღაც წარმოუდგენელ სირთულეებს გავდივართ, გვაქვს საცდური, რომ ყველაფერი დავტოვოთ და დავნებდეთ. თუმცა, ყველაზე დიდი, რაც შეგვიძლია ამ დროს გავაკეთოთ, არის ვენდოთ ღმერთს და დავრჩეთ იმედით სავსენი. მაგრამ, რა არის რეალურად იმედი?

იმედი არის დარწმუნებული მოლოდინი იმისა, რომ რაღაც კარგი მოხდება. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს რწმენასთან, იმასთან, თუ რისი გვჯერა. როცა ვბედავთ, რომ იმედი გვქონდეს, ჩვენი ცხოვრება სიხარულითა და მშვიდობით ივსება.

მტერს სურს, რომ უიმედონი ვიყოთ. მას სურს დაგვარწმუნოს, რომ ყველაფერი უკვე დაკარგულია და შეუძლებელია სიტუაცია უკეთესობისკენ შემოტრიალდეს. მაგრამ ღმერთს უნდა რომ იმედით სავსენი ვიყოთ - გვჯეროდეს და ველოდეთ დიდებულ რაღაცებს მისგან. ბიბლია რეალურად ამბობს რომ, იგი „იმედის ღმერთია“, წყალობითა და ახალი საწყისებით სავსე (იხ. რომაელთა 15:13).

ბავშვობაში, მამისგან მიღებულმა სექსუალურმა, სიტყვიერმა თუ ემოციურმა შევიწროებამ თავისი კვალი დატოვა ჩემში, იმდენი ნეგატიური რამ შემემთხვა, რომ უკვე მუდმივად ცუდს ველოდებოდი, მას შემდეგაც კი, რაც ქრისტიანი გავხდი.

თუმცა, წრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ღმერთმა ნეგატიური და პესიმისტური დამოკიდებულების მქონე ადამიანისგან ისეთ ადამიანად მაქცია, რომელიც იმედითაა სავსე და ყოველთვის მის სიკეთეს ელოდება ყველა კუთხეში. იგი ნელ-ნელა დამეხმარა აღმომეჩინა იმედის ძალა და თუ რას ნიშნავს ეს ჩემი ფიქრებისთვის, სიტყვებისა და დამოკიდებულებისთვის ჩემი ცხოვრების ყველა სფეროში. ამრიგად, ახლაც კი, როცა რთული გარემოებების წინაშე აღმოვჩნდები ან რეგრესს განვიცდი, მაინც იმედს ვარ ჩაჭიდებული და ვიცი, რომ ღმერთი ყველაფერს ჩემს სასიკეთოდ შემოატრიალებს!

შესაძლოა, ბევრ ტკივილს, იმედგაცრუებასა თუ დაცემას გაუძელი და ვერც კი წარმოიდგენ როგორ შეიძლება ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს.

მტერს სურს დაგარწმუნოს, რომ ეს ყველაფერი არასდროს შეიცვლება. მაგრამ ღმერთს უნდა იცოდე, რომ მას უყვარხარ და შეგიძლია ენდო, რომ იგი შენს ქაოსში სასწაულს მოახდენს! შენი წილი პასუხისმგებლობაა, არასდროს დაკარგო იმედი. გქონდეს მოლოდინი, რომ მისი სიკეთე ნებისმიერ წამს შეიძლება გამოჩნდეს.

ამ გვერდებზე მოცემულია რამდენიმე გაკვეთილი იმ უდიდესი გაკვეთილებიდან, რაც ღმერთმა ამ სფეროში მასწავლა - გაკვეთილები, რომლებიც გააძლიერებს შენს რწმენას და დაგეხმარება ცხოვრებას მიუდგე სრულიად სხვა დამოკიდებულებით.

მე ხშირად ვამბობ, რომ ადამიანი, რომელიც იმედით სავსე რჩება, რომელიც აგრძელებს ღვთის სიტყვის რწმენას და უარს ამბობს დანებებაზე, ვერასდროს დამარცხდება. თუკი ღმერთს მიენდობი, მას შეუძლია ცხოვრების ქარიშხლების შუაგულშიც კი, შენი ცხოვრება მისი წარმოუდგენელი მშვიდობითა და სიხარულით აავსოს და სიტუაცია შენს სასიკეთოდ შემოაბრუნოს.

არ ვიცი კონკრეტულად რა გამოიარე ცხოვრებაში ან ახლა რას განიცდი, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთს საოცრად უყვარხარ, მისი მზერა მუდამ შენკენაა და ის აპირებს, რომ დაგეხმაროს (იხ. რომაელთა 8:38-39; ფსალმუნი 33:18).

ის არის იმედის ღმერთი; ისაა, ვისაც შეუძლია შენი ყველაზე რთული პერიოდებიც კი რაღაც დიდებულად აქციოს.

თავი 1

იმედით სავსე

ხშირად ვამბობ, რომ ჩვენს თაობას „მაჩვენე“ ჰქვია. გვინდა მანამდე დავინახოთ, ვიდრე ვირწმუნებთ. რეალურად, ადამიანთა უმრავლესობას უჭირს დაიჯეროს, რომ ღმერთი შრომობს ჩვენთვის მანამ, სანამ ჩვენი ბუნებრივი თვალებით დავინახავთ, რომ რაღაც მართლა ხდება.

თუმცა, ღმერთი ასე არ მოქმედებს, იგი სცენის მიღმა შრომობს. შესაძლოა, ვერ ხედავდე, რომ რაიმე ხდება, მაგრამ გჯერა, რომ ღმერთი ახლაც კი შრომობს რაღაც საკითხებზე შენს ცხოვრებაში? გჯერა, რომ მას აქვს გეგმა შენი შვილების, შენი ქორწინების ან იმ სხვა ასპექტების დასახმარებლად, რაზეც წლებია ლოცულობ?

იერემიას 29:11 ამბობს, რომ ღმერთს აქვს სასიკეთო ზრახვები შენი ცხოვრებისთვის ... *რათა მომავალი და იმედი მოგცეს.* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთი ეძებს შესაძლებლობას, რომ კეთილი იყოს შენ მიმართ!

შესაძლოა, რთულია წარმოიდგინო შენი თავი პოზიტიურ, რწმენითა და იმედით სავსე პიროვნებად. თუ ასეა, ზუსტად ვიცი რას გრძნობ. ზოგიერთ ადამიანს უბრალოდ ეშინია იმედის ქონის, რადგან უამრავი იმედგაცრუება აქვთ გამოცდილი და ფიქრობენ, რომ მეტ ტკივილს ვერ გაუძლებენ.

მაგრამ არაუშავს, რადგან ღმერთი „იმედის ღმერთია“, წყალობითა და ახალი საწყისებით სავსე (იხ. რომაელთა 15:13). და მასთან ერთად, არასდროსაა ძალიან გვიანი ირწმუნო, აღივსო მოლოდინითა და იმედით.

დიდი მოლოდინები...

იმედის ერთ-ერთი განმარტებაა „დადებითი და დარწმუნებული მოლოდინი“.

მჯერა, რომ ხშირად პასიურ დამოკიდებულებას ვირჩევთ, ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ უბრალოდ „დაველოდებით და ვნახავთ“ რაიმე თუ შეიცვლება ან „მოხდება“. მაგრამ ღმერთს სურს, რომ გამიზნულად მოველოდეთ. მას სურს, რომ აქტიური მოლოდინი გვქონდეს რაიმეს მიმართ.

ამრიგად, მე გეკითხები: რას ელი?

რას ხედავ შენს გონებასა და წარმოსახვაში? როგორ საუბრობ შენს მომავალზე? როცა დილით დგები, ფიქრობ, რომ კიდევ ერთ დღეს გაუძლებ, თუ იმ მოლოდინით იღვიძებ, რომ ეს შეიძლება გარღვევის დღე იყოს?

სწორია გამოთქმა, რომ როცა ქალი ორსულადაა ვამბობთ, რომ ის „ელოდება“. და რაც უფრო ახლოსაა მშობიარობის დღესთან, მით უფრო დიდია იმის მოლოდინი, რაც უნდა მოხდეს.

ჩემი ორსულობები განსაკუთრებით უნიკალური იყო, რადგან ოთხივე შვილს განსაზღვრულ დროზე მეტ ხანს დავატარებდი მუცლით. ჩემმა ექიმმა მითხრა, რომ ერთადერთი ქალი ვიყავი მის ნაცნობებს შორის, ვინც იმდენ ხანს იყო ფეხმძიმედ, რამდენ ხანსაც სპილო!

თითოეული ორსულობის ბოლო თვეში, ყოველ დილით ვიღვიძებდი და ვამბობდი: „დღეს იქნება ის დღე

- დღეს უნდა იყოს ის დღე!“ ყველა ჩანთა ჩალაგებული და მომზადებული მქონდა. მუდმივად ყველაფერს ვამოწმებდი, რომ დავრწმუნებულიყავი ყველაფერი რიგზე იყო, რადგან მჯეროდა, რომ ჩემი შვილი ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა დაბადებულიყო. როგორც კი ტკივილს ვიგრძნობდი, ვფიქრობდი: *აი ისიც! მოდის!*

სწორედ ასეთი დამოკიდებულება სურს ღმერთს! მას წარმოუდგენელი გეგმა აქვს შენი ცხოვრებისთვის და სურს, მოელოდე, რომ კარგი რაღაცები აქვეა, კუთხეში.

იმედი ამბობს: „შესაძლოა სიტუაციები დიდხანს იყოს ასე, მაგრამ ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია, ამიტომ ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს“.

ხარ იმედიანი ტყვე?

როგორც ვახსენე, ყველაზე ნეგატიური ადამიანი ვიყავი ვისაც კი ვიცნობდი. ნამდვილად ნახევრად ცარიელი ტიპის ადამიანი ვიყავი - ყველა სიტუაციაში უარყოფით მხარეს ვხედავდი.

ეს ხსნის იმას, თუ რატომ ვიყავი ასე საცოდავი. ეჭვი და ნეგატიურობა მიწაზე გვანარცხებს... მაგრამ იმედი სიხარულს ათავისუფლებს!

იმედი ნიშნავს პოზიტიური აზრებისა და დამოკიდებულების ქონას. იმედიანი ადამიანი სრულიად უარყოფს იყოს ნეგატიური ნებისმიერი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღიარებენ და ებრძვიან ცხოვრების ქარიშხლებს, ისინი იმედიანები რჩებიან ფიქრებში, დამოკიდებულებებსა და საუბრებში.

ძალიან ბევრჯერ, ვფიქრობ, ლოდინის ხაფანგში ვართ გაბმულები, მანამ სანამ თავს ოპტიმისტურად და იმედიანად ვიგრძნობთ. მაგრამ იმედი არის გადაწყვეტილება იყო პოზიტიური და არ იცხოვრო იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობ თავს. ჭეშმარიტება

ისაა, რომ როცა ვიღებთ მტკიცე გადაწყვეტილებას ვიფიქროთ პოზიტიურად, იმედიანი აზრებით, ჩვენი განცდებიც საბოლოოდ ასეთი ხდება!

ძალიან მიყვარს ზაქარიას 9:12. უფალი ამბობს: *„დაუბრუნდით [უსაფრთხოებისა და აყვავების] ციხე-სიმაგრეებს, ტყვენო, რომლებსაც გაქვთ იმედი! დღეს გიცხადებთ, რომ ორმაგად აგინაზღაურებთ დანაკარგს“.*

რას ნიშნავს იყო „იმედიანი ტყვე“? ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ არ ვამბობთ უარს შევწყვიტოთ იმედის ქონა და ნდობა ღმერთის უნარზე, რომ იგი იმოქმედებს.

როცა იმედიანი ტყვე ხდები, მტერმა აღარ იცის რა ქნას. ის შეიძლება წამოვიდეს შენ წინააღმდეგ ნეგატიური აზრებით, მაგრამ მას არ აქვს ძალა რომ ზიანი მოგაყენოს, როცა განსაზღვრული გაქვს, რომ განაგრძნო მთლიანად ღმერთზე მინდობა.

ღმერთს სურს გაკურთხოს და ორმაგად მოგცეს წარ-სული ტკივილის გამო, იმ ყველაფრისთვის, რაც დაკარგე (იხ. ესაიას 61:7). და ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ქმნის მთელ ამ განსხვავებას. ჩვენი წილია გვჯეროდეს, ვენდოთ და იმედი გვქონდეს.

ღუზის ჩაშვების დროა

ებრაელთა 6:19 ამბობს: *„[ახლა] რომელიც [იმედი] ჩვენთვის სანდო და მტკიცე ღუზასავითაა [იგი ვერ გაცურდება და ვერც ვერაფერი დაამსხვრევს მას]...“.*

მოდი, ეს მუხლი გავშალოთ. ვფიქრობ, ყველამ იცით, რა არის ღუზა. როცა გსურს, რომ ნავი ერთ ადგილზე გაჩერდეს, უშვებ ღუზას და იგი შორს წასვლის საშუალებას აღარ გაძლევს.

ამ მუხლში წერია, რომ იმედი „სამშვინველის ღუზაა“. სამშვინველი არის ჩვენი გონება, ნება და ემოცია. ჩვენი სამშვინველი გვეუბნება, თუ რას ვფიქრობთ, რა გვსურს და რას ვგრძნობთ.

ამრიგად, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ეს ნიშნავს, რომ როცა ყველაფერი უფერული ჩანს... როცა თითქოს არაფერს აღარ აქვს აზრი, თითქოს ღვთის აღთქმები არასდროს ასრულდება ჩვენს ცხოვრებაში, იმედი არის ჩვენი ღუზა, რომელიც უკან გვექაჩება და გვეუბნება: „შეჩერდი! ეს მაინც მოხდება!“

მაგრამ მოდი, კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ. ებრაელთა 6:19 ამბობს, რომ იმედი არის ჩვენი ღუზა და რომ ... *[იგი ვერ გაცურდება და ვერც ვერაფერი დაამსხვრევს მას]...“.*

იმედი არის ჩვენი ღუზა და ის იწვევს ჩვენ მიერ „ნაბიჯის გადადგმას“. ზოგიერთი ადამიანი არ განიცდის ღვთის აღთქმებსა და ძალას უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი რწმენით არ დგამენ ნაბიჯს. სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმას მოჰყავს აღთქმები მოქმედებაში!

ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო. დაახლოებით 40 წლის განმავლობაში, მთელს მსოფლიოში ვმოგზაურობდი და ღვთის სიტყვას ვასწავლიდი. მაგრამ არის პერიოდები, კონფერენციის წინ, როცა ვერ ვგრძნობ თავს იმის გასაკეთებლად, რასაც ვაპირებ, საკმარისად ცხებულად, კვალიფიციურად ან მომზადებულად.

სცენაზე გასვლამდე, ვფიქრობ: *„ღმერთო, მართლა იმედი მაქვს რომ გამოჩნდები, თუ არა და პრობლემა მაქვს“.* შემდეგ, როგორც კი ნაბიჯს გადავდგამ იმის გასაკეთებლად, რისი გაკეთებაც მჯერა, რომ მან მთხოვა, ღმერთი ყოველთვის იწყებს მოქმედებას და

მეხმარება უწყების ადამიანებამდე მიტანაში. არც ერთხელ არ განმიცდია მის გამო მარცხი!

მრავალ თქვენგანს, ღმერთი უბრალოდ ელოდება, რომ ნაბიჯი გადადგას ამ იმედის ღუზისკენ. ის უბრალოდ გელოდება რომ შენი წილი გააკეთო, რათა მან შეძლოს გამოჩნდეს შენს ცხოვრებაში და მოიმოქმედოს რაღაც, რაც გაგაოცებს.

არ მისცე ნება გარემოებებს კურსიდან გადაგახვევინოს. ჩაუშვი ღუზა და გადადგი ნაბიჯი იმედის მტკიცე საფუძვლისკენ. რადგან როცა იმედს ღმერთზე დებ, ის არ გაგიცრუვდება.

თავი 2

რა უნდა ქნა, თუ გაიჭედე

ოდესმე გაჭედილხარ? ოდესმე მისულხარ ადგილას, რომელიც ჩიხს ჰგავს... თითქოს გამოსავალი აღარ არსებობს?

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში და დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანთა უმრავლესობაც. მაგრამ ისეთი მადლიერი ვარ, რომ წლების განმავლობაში ღმერთმა მასწავლა რომ მაშინაც კი, როცა გავიჭედეთ, არ არსებობს სიტუაცია, რომელიც იმდენად რთულია მისთვის რომ ვერ გაუმკლავდეს!

მოდი, იოსების ისტორიით დავიწყოთ დაბადების წიგნიდან (იხ. დაბადების 37-50). ბიბლია ამბობს, რომ ის მამამისის საყვარელი ძე იყო 12-ს შორის და ძმებს ძალიან შურდათ მისი ამის გამო.

ერთ დღეს, იოსებმა თავის ძმებს სიზმრის შესახებ მოუყვა. მის სიზმარში, ისინი ყველანი ქედს იხრიდნენ მის წინაშე. საჭირო არაა იმის თქმა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყოლია!

ძმები შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ როგორ მოეშორებინათ თავიდან იოსები. თავიდან, ორმოში ჩააგდეს, რათა იქ მომკვდარიყო. მაგრამ მოგვიანებით, გადაწყვიტეს მონად მიეყიდათ მოგზაური ისმაელიანი

ვაჭრების ჯგუფისთვის. შემდეგ კი, გეგმა შეადგინეს, თუ როგორ დაერწმუნებინათ მამა იოსების სიკვდილში!

როგორც იცით, ისტორია ტრიუმფალურად მთავრდება. იოსები მეორე კაცი ხდება ფარაონის შემდეგ, საბოლოოდ, კვლავ უერთდება თავის ოჯახს, რომელსაც ყველა დანაშაული შეუნდო.

ის, რაც იოსებს დაემართა, იმის დამადასტურებელია, რომ არ აქვს მნიშვნელობა რა სირთულეებში გადიხარ ცხოვრებაში, ყოველთვის არსებობს იმედი. შეგიძლია აღასრულო ღვთის მიზანი შენზე, რადგან ღმერთით ყველაფერი შესაძლებელია!

მაგრამ მისი ისტორიის ნაწილი, რომელზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ისაა, რაც ორმოსა და სასახლეს შორის მოხდა. ამ დროს იოსების ცხოვრება რამდენჯერმე შემობრუნდა. მისი ხასიათის თვისება, რამაც იგი გამარჯვებამდე მიიყვანა, იყო დაჟინებულობა. იმის გამო, რომ იოსებს სწამდა ღმერთის, ის არასდროს დანებებულა!

მიტოვება გამოსავალი არ არის

ჩვენს ცხოვრებაში, მრავალჯერ შეიძლება ჩავცვივდეთ ორმოში. ეს შეიძლება იყოს ავადმყოფობის, ფინანსური ნაკლოვანების, ურთიერთობების საკითხების ან სხვა პრობლემების ორმო. როცა არ უნდა მოხდეს ეს, გადაწყვეტილი უნდა გქონდეს, რომ როგორიც არ უნდა იყოს სიტუაცია, არ დანებდები!

ყოველთვის გახსოვდეს, იმისათვის, რომ გქონდეს კეთილი უწყება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა ღმერთმა, პირველ რიგში, გამოცდები უნდა ჩააბარო. იესომ ისიც კი გვითხრა:

„...წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამხნევდით [იყავით დარწმუნებულნი, შეუპოვარნი, გაბედულნი]! მე ვძლიე წუთისოფელს. [თქვენთვის ზიანის მოყენების ძალა წავართვი და თქვენ გამო დავამარცხე იგი] “. (იოანე 16:33)

გარდაუვალია ის, რომ რთულ პერიოდებს გაივლი. ზოგჯერ შეიძლება იგრძნო, რომ უკვე ნებდები. მაგრამ თუ უბრალოდ შეძლებ ჩაეჭიდო და ენდო ღმერთს ამ პერიოდში, მას შეუძლია სრულად აღგადგინოს. მას შეუძლია აიღოს ყველაფერი ცუდი და მათგან კარგი შექმნას (იხ. რომაელთა 8:28).

ამბობენ, რომ უინსტონ ჩერჩილმა ამ სიტყვებით მიმართა ჰეროუს სკოლის 1941 წლის კურსდამთავრებულებს:

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს დანებდეთ! არაფერში - დიდი იქნება ეს თუ პატარა, დიდებულში თუ სამწუხაროში - არასდროს დანებდეთ!“

არ ვიცი, მართლა მარტო ეს თქვა თუ არა, მაგრამ მჯერა, რომ დღეს სულიწმიდა მრავალ ჩვენგანს გვეუბნება ამას, „არ დანებდე, რადგან ღმერთს ძალიან ბევრი აქვს გამზადებული შენი ცხოვრებისთვის!“

ძალიან მარტივია დანებება, როცა ყველაფერი რთულდება. ზოგჯერ ადამიანები იჭედებიან იქ, სადაც არიან და არ იციან როგორ გამოვიდნენ, ამიტომ ფიქრობენ, რომ დანებება უფრო მარტივი იქნება.

შეიძლება ისინი გრძნობენ, რომ საკმარისად ჭკვიანები ან ნიჭიერები არ არიან; შესაძლოა, რაიმე ტრავმატული გადახდათ თავს; ან რაღაცაში დამარცხდნენ ან საშინელი შეცდომა დაუშვეს წარსულში.

მაგრამ სულიწმიდა გვაძლევს ძალას და უნარს რომ ძალა დავატანოთ, მივაწვეთ და მივიდეთ გამარჯვებამდე, მაშინაც კი თუ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც დავგეგმეთ.

მარცხი არ ნიშნავს რომ გამოსავალი აღარ არის. შეგიძლია წარსული შეცდომებიდან ისწავლო - აღმოვაჩინე რომ ისტორია კარგი მასწავლებელია! როცა ყველა ეცემა, კიდევ სცადე. სხვა თუ არაფერი, იმას მაინც ისწავლი რა მოქმედებს და რა არა და იქიდან გამოხვალ. შეგიძლია, შენი დაბრკოლება აქციო საშუალებად რომ უფრო ბრძენი და მოწიფული გახდე სულიერად.

ღმერთს სურს, რომ კარგი ცხოვრებით ვიცხოვროთ, თუმცა, ნდობა და დაჟინებულობა აუცილებელია. სულიწმიდა გაგვიძღვება რწმენის ნაბიჯით ყოველ ჯერზე ღვთის კეთილი გეგმებისკენ, რაც ჩვენთვის აქვს გათვალისწინებული. ჩვენი წილია გადავდგათ ეს ნაბიჯები...*და არასოდეს დავნებდეთ!*

რა უნდა გააკეთო, როცა გტკივა

ასევე ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეუძლია შენს პერსპექტივას, როცა „ორმოში“ ხარ.

გახსოვდეს, ეს გამოცდის დროა... დრო, როცა ხასიათი ვითარდება. ამ პერიოდს ზოგჯერ „წყნარ წლებს“ ვეძახი, რადგან ეს არის დრო, როცა შეიძლება ფიქრობ, რომ ბევრი არაფერი ხდება შენს ცხოვრებაში.

ან შესაძლოა ძალიან ბევრ ტკივილსა და ცვლილებაში გადიხარ და ისე გრძნობ, თითქოს ღმერთი არაფერს აკეთებს ამასთან დაკავშირებით. მაგრამ უმნიშვნელოვანესია რომ ენდო მას ამ პერიოდში, რადგან ის შრომობს შენს გულში, რათა მეტად დაემსგავსო ქრისტეს.

ამრიგად, რა უნდა გააკეთო, როცა შენს ორმოში გაიჭედე?

- *არ დანებდე!* შეებრძოლე იმაზე ფიქრის ცდუნებას, რომ შენი სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობს. იესოა გზა. ეს არის დრო, რომ მიუახლოვდე და მიჰყვე მას.
- *თავი აარიდე ღვთის დადანაშაულებას და ფიქრს, რომ ის რაიმე ცოდვის გამო გსჯის.* ის უბრალოდ იყენებს სიტუაციას შენს ცხოვრებაზე საშრომელად. და როცა შეიძლება ყოველთვის კარგ განცდებს არ ტოვებს, მისი მიზანი ყოველთვის შენს სასიკეთოდ იქნება.
- *აკეთე ის, რაც სწორია, მაშინაც კი როცა გტკივა, როცა ყვლაფერი კარგად არ მიდის ან სხვები ცუდად გექცევიან.* გააკეთე რაიმე კარგი რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის და რაც შეიძლება ხშირად.
- *ნუ დანაღვლიანდები და მოშორდები სხვებს.* გახსოვდეს, შენ შეიძლება იყო საცოდავი ან ძლიერი, მაგრამ ვერ იქნები ორივე! ხშირად, ღმერთმა შეიძლება სხვები გამოიყენოს შენს გასამხნევებლად ასეთ სიტუაციებში.
- *სიტყვა არ გატეხო და პატივი ეცი შენს ვალდებულებებს.* ეს ხასიათის ჩამოყალიბების პერიოდია და ემზადები „სასახლეში“ შენი ადგილის დასაკავებლად.
- *არ შეწყვიტო რწმენა...* არ დაკარგო იმედი, რომ ღმერთს შეუძლია შენი სიტუაციის გაუმჯობესება!

შეანჯღრიე

შესაძლოა, მოსმენილი გაქვთ ორმოში ჩავარდნილი ვირის ისტორია.

მას შემდეგ რაც ნახა, რაც მოხდა, მისი მფლობელი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ კი გადაწყვიტა, რომ

ორმო ძალიან ღრმა იყო, ვირი კი ბებერი, ამრიგად იფიქრა ჭაში დაემარხა იგი.

რამდენიმე მეგობარსა და მეზობელს დაუძახა დასახმარებლად და მათაც დაიწყეს ორმოში მიწის ჩაყრა.

თავიდან ვირი ყროყინებდა, სიტუაციით შეშინებული. შემდეგ პატრონმა შეამჩნია, რომ გაჩუმდა და იფიქრა, რომ უკვე მოკვდა. მაგრამ ვირი არ მომკვდარა.

როცა მეპატრონემ ორმოში ჩაიხედა, დაინახა, რომ ყოველ ჯერზე, როცა ზურგზე მიწა ეყრებოდა, ირხეოდა, მასზე ფეხით დგებოდა და ფეხქვეშ ტკეპნიდა. ეს საათები გაგრძელდა, სანამ საბოლოოდ ვირმა იმდენი მიწა არ დატკეპნა, რომ ორმოდან ამოსვლა შეძლებოდა!

ჩვენ შეგვიძლია რაღაც ვისწავლოთ ამ ვირისგან. ცხოვრება ტალახს შეგვაყრის პერიოდულად. ეს შეიძლება იყოს ურთიერთობებში, ფინანსებში ან ჯანმრთელობაში. მაგრამ ეს არის დრო, როცა უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ მივყვეთ სულიწმიდას. ის გაჩვენებს როგორ ჩამოიფერთხო ტალახი და ზედ დადგე, ყოველი ნაბიჯისას თვალი მოკრა იმ კარგს, რაც მომავალშია, რაც ორმოდან სასახლეში გადაგიყვანს!

ყოველთვის იქნება დაბრკოლებები, რომლებიც უნდა გადალახო. ყოველთვის იქნება „საკითხები“, რომლებიც უკან უნდა მოიტოვო. მაგრამ ასევე ყოველთვის იქნება ახალი დასაწყისი და მეორე შანსი. არასდროსაა ძალიან გვიანი - უბრალოდ არ დანებდე! როცა შენს წილს შეასრულებ და გააკეთებ, რაც შეგიძლია, როცა იმედს ჩაეჭიდები, წინ წახვალ და უარყოფ ღვთის იმედის დაკარგვას - იგი ერთგული იქნება რომ გააკეთოს ის, რაც შენ არ შეგიძლია.

ამრიგად, თუ გაიჭედე და არ იცი რა გააკეთო, არ დაკარგო იმედი, რადგან იდეალურ პოზიციაში ხარ ახალი დასაწყისისთვის.

თავი 3

იმედიანი დამოკიდებულების არჩევა

იმის გამო რომ ძალადობის მსხვერპლი ვიყავი პატარაობისას, გაურკვეველი შიში ჩამომიყალიბდა, რომ ყოველთვის რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. შესაძლოა, თქვენც განგიცდიათ ის, რასაც ვამბობ.

ძალიან ბევრი ცუდი რამ შემემთხვა, რის გამოც მივედი მდგომარეობამდე, როცა ყოველ წამს რაღაც ცუდს ველოდი, მას შემდეგაც კი რაც ქრისტიანი გავხდი.

მახსოვს ერთი დილა, როცა ბოლოს და ბოლოს, ვილოცე და ღმერთს ვკითხე: „ეს რა არის? რატომ ვგრძნობ თავს ყოველთვის ასე?“

ღმერთი დაელაპარაკა ჩემს გულს და მითხრა: „ეს ცუდი წინათგრძნობაა“. მანამდე ეს სიტყვა არასდროს მსმენოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოვაჩინე იგავების 15:15-ში, რომელიც ამბობს:

„ავია ჩაგრულის ყოველი დღე [მშფოთვარე აზრებით და წინათგრძნობებით], მხიარულ გულს კი მუდამ ლხინი აქვს [მიუხედავად გარემოებებისა]“.

ყველას გვაქვს რთული პერიოდები ცხოვრებაში და როცა ასეა, ძალიან ადვილია შეგვეშინდეს მომავლის, და მშფოთვარე აზრები და წინათგრძნობები გვქონდეს. გვჭირდება მივიდეთ იმ წერტილამდე, სადაც ვისწავლით

დავეთანხმოთ ღმერთს და მის სიტყვას პრობლემის დროს.

ჩვენ შეგვიძლია რწმენა გამოვათავისუფლოთ ამ სიტყვებით: „ვიცი, ღმერთს ვუყვარვარ. ის იზრუნებს ჩემზე და დამიცავს. მჯერა, ის მომცემს მადლსა და ძალას, რომ გავაკეთო რაც საჭიროა და აქედან რამე კარგი გამოვა“.

არ შეგეშინდეს!

ღმერთს არასდროს სურს საცოდავები ვიყოთ ან „საშინელი დღე“ გვქონდეს, მაშინაც კი როცა ყველაფერი ცუდად მიდის. მას სურს, რომ კარგს მოველოდეთ და იმედით სავსენი დავრჩეთ, მიუხედავად ჩვენი გარემოებებისა.

და აქაა ორი სიტყვა, რაც დაგეხმარება ამის გაკეთებაში: *არ შეგეშინდეს!*

რა არის შიში? შიში ეს არის უსიამოვნო განცდის მოლოდინი და იგი ზუსტად იმედის საწინააღმდეგოა.

ამის გაცნობიერების გარეშე, ვფიქრობ უამრავი ადამიანი შეშინებულია დღეს. ჩვენ შეიძლება გვეშინოდეს სამსახურში წასვლის, გვეშინოდეს გადატვირთული მოძრაობის, გვეშინოდეს ჭურჭლის დარეცხვის, სარეცხის დარეცხვის, ბალახის შეკრეჭის, სადილის მომზადების, და ასე უსასრულოდ.

თუმცა, შიშს შეუძლია მოგვპაროს სიხარული და დღე გაგვიფუჭოს. შიშს შეუძლია უიმედოები დაგვტოვოს. ამის ნაცვლად მე გამხნევებთ, რათა შეწყვიტოთ საცოდავად ყოფნა იმ სიტუაციაში, რომელშიც არ გაქვს ძალა რაიმე მოიმოქმედო. აირჩიე დარჩე ბედნიერი და ნება მისცე ღმერთს რომ ამაზე იზრუნოს!

ყველა სიტუაციაში, გვჭირდება ისეთი დამოკიდებულება, რომელიც იტყვის: „შემიძლია გავაკეთო ყველაფერი, რაც საჭიროა, არ შევწყვეტ ჩემი ცხოვრებით სიამოვნების მიღებას, მიუხედავად იმისა თუ რა ხდება. მე არ დამიგეგმავს ეს ყველაფერი მაგრამ ვიცი, ღმერთს შეუძლია ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ შემოატრიალოს“.

არ ვამბობ, რომ ეს ყოველთვის გააქრობს შენს პრობლემებს. თუმცა, იმის არჩევა, რომ არ გეშინოდეს, ნამდვილად აქცევს ცხოვრებას უკეთესად!

იპოვე სიხარული წვრილმანებში

მხოლოდ ცხოვრებაში მომხდარ „დიდ“ რაღაცებზე გამარჯვება არ ნიშნავს გამარჯვებული ცხოვრების ქონას - იგი პატარა რაღაცებით იწყება. უფალს სურს, რომ გვქონდეს წარმატება და სიხარული ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და შიშის დამარცხება ამ ყველაფრის ძირითადი ნაწილია. ჩვენს არჩევანს, რომ გვქონდეს პოზიტიური, იმედიანი დამოკიდებულება, მართლა შეუძლია ყველაფრის შეცვლა!

რა თქმა უნდა, იქნება რაღაცები ცხოვრებაში, რაც მეტად რთულია ან ნაკლებად სასიამოვნო; თუმცა მათ არ უნდა გაგვაუბედურონ ან გააფუჭონ ჩვენი დღე. არჩევანი მართლა ჩვენზეა და დამოკიდებულებაზე, რომლის მიღებასაც ვირჩევთ.

საოცარია, როგორ შეიძლება შეგვეცოდოს საკუთარი თავები და შემდეგ ნება მივცეთ ჩვენს დამოკიდებულებას გააფუჭოს იდეალური დღე როგორც ჩვენთვის, ასევე სხვებისთვის. მენდეთ, ვიცი, „წამებულის“ როლის თამაში იდეალურად გამომდიოდა, როცა საქმე სახლის საქმეებს ეხებოდა.

ხშირად დავდიოდი სახლში აქეთ-იქით, წუწუნითა და ბუზღუნით: „ჩემ გარშემო ყველა მოელის რომ ყველაფერს მე გავაკეთებ. დეივი მიდის და გოლფს თამაშობს, ბავშვები ყველაფერს ურევენ. მე კი მათ საჭმელს ვუკეთებ, ჭურჭელს და სარეცხს ვრეცხავ. მინდა ვიცოდე ჩემზე ვინ ზრუნავს?!“

სიმართლე ის იყო, რომ არავინ მაძალებდა ამ ყველაფრის კეთებას. მე ავირჩიე ეს, რადგან მიყვარს ჩემი ოჯახი. თუმცა იშვიათად ვიღებდი ამით სიამოვნებას, რადგან გადაწყვეტილი მქონდა ნეგატიური დამოკიდებულება მქონოდა.

გეცნობათ? შენი სიტუაცია შეიძლება სახლის საქმეების შესახებ არ იყოს, მაგრამ ყველას გვაქვს ცდუნება საკუთარი თავები შეგვეცოდოს და რაღაცის გვეშინოდეს.

მაშინაც კი როცა ცუდი ან არასახარბიელო რამ შეგვემთხვევა, კვლავ შეგვიძლია ავირჩიოთ პოზიტიურად შევხედოთ მას. როცა ასე ვიქცევით, ღმერთს ვეთანხმებით, რადგან ღმერთი ყოველთვის პოზიტიურია.

ᲘᲧᲐᲕᲘ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲖᲔ ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ხშირად ვამხნევებ ადამიანებს და ვთამაშობ „სიხარულის თამაშს“. რა არის ეს? როცა ნეგატიურ სიტუაციას შეეჯახები, გამიზნულად აირჩიე, რომ პოტენციური, კარგი რამ დაინახო მასში!

მაგალითად, თუ საგზაო მოძრაობაში გაიჭედები, თქვი: „ნელა მივდივარ, იქნებ ღმერთი მიცავს ავარიისგან, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ სწრაფად წავიდოდი“.

ეს ყველა სიტუაციაში მუშაობს, დიდი იქნება ეს თუ პატარა. მაშინაც კი თუ ეს რაიმე ისეთი მნიშვნელოვანია, როგორიცაა სამსახურის დაკარგვა, შეგიძლია აირჩიო რომ ფოკუსი პოზიტიურზე გადაიტანო და თქვა: „შეიძლება სამსახური დავკარგე, მაგრამ მაქვს შესაძლებლობა დავინახო როგორ მომცემს ღმერთი უკეთეს სამსახურს!“

„ბიბლია ამბობს... *მაინც დაგელოდებათ [მოელის] უფალი, რათა შეგიწყალოთ; ...იცდის, რომ შეგიბრალოთ...“.* (ესაია 30:18)

არ აქვს მნიშვნელობა რას მოიტანს ცხოვრება შენს გზაზე, ღმერთს გეგმა აქვს რომ უკეთესად აქციოს, გეგმა, რომელიც იმედითა და კარგი რაღაცებითაა სავსე. მოგიწოდებთ, რომ თანხმობა განაცხადოთ ამაზე.

მიუდექით ყოველ დღეს პოზიტიური, იმედიანი დამოკიდებულებით და აირჩიე, რომ არ გეშინოდეს. როცა ასე მოიქცევი, მჯერა დაიწყებ სიხარულის აღმოჩენას, შენი ცხოვრების ყველა ნაწილში.

თავი 4

ღმერთზე მინდობა ქარიშხლის დროს

წლების განმავლობაში, ერთი რამ ვისწავლე, რომ ერთია ენდო ღმერთს *რაღაცისთვის*, რომ ის შეცვლის რაიმეს ან ვინმეს შენს ცხოვრებაში, მაგრამ სულ სხვაა ღმერთს *რაღაცაში* ენდო.

ძალიან მანუგეშებს ესაიას 43:2-3. იგი ამბობს: *„ვერ წაგლეკავენ წყლები და მდინარეები, როდესაც მათში გაივლით, რადგან მე ვიქნები თქვენთან. ვერც ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ. რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი...“.*

როცა რთულ პერიოდს გადიხარ, მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ ღმერთი შენთანაა და შეგიძლია ენდო, რომ დაგეხმარება ამის გავლაში.

მაგალითად, შეიძლება რთული იყოს დარჩე რწმენაში, როცა შენი გარემოებები აზრს მოკლებულია ან ცხოვრება უსამართლოდ გეჩვენება. განსაკუთრებით რთულია, როცა ფიქრობ რომ იმას აკეთებ რასაც უნდა აკეთებდე, მაგრამ სწორ შედეგს ვერ იღებ.

ან ამაზე რას იტყვით: ხედავ ვიღაცას, ვინც სწორად არ იქცევა, მაგრამ ცხადია რომ შენზე უკეთეს შედეგს იღებს! იქნება პერიოდები შენს ცხოვრებაში, როცა თითქოს ყველაფერი ირყევა, არაფერია უსაფრთხო და ერთადერთი ნამდვილი პასუხია ენდო ღმერთს და განაგრძო მასზე დაიმედება.

ასევე გამოცდილებიდან ვისწავლე, რომ ღმერთი ამ პერიოდებს ჩვენს სასიკეთოდ გამოიყენებს. როცა ცხოვრება არასტაბილური ჩანს, იგი ჩვენს გარემოებებს გამოიყენებს, რათა დავუახლოვდეთ და უფრო მეტად ჩავეჭიდოთ ჩვენი ხსნის კლდეს, იესო ქრისტეს, რომელსაც ვერაფერი შეარყევს! (იხ. ფსალმუნის 62:2, 6).

რთულ პერიოდში „ზრდა“

ეს შეიძლება სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ მივედი იმ წერტილამდე, სადაც მჯერა, რომ განსაცდელები და სირთულეები შესაძლოა, ჩვენი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. რატომ? რადგან უფალი მათ იყენებს, რათა გვასწავლოს, გაგვწვრთნას და დაგვეხმაროს გავიზარდოთ ისე, როგორც ჩვენით ვერ ვახერხებთ.

იაკობის 1:2-3 ამბობს: *„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას ქმნის“.*

განსაცდელი და ტანჯვა ღმერთისგან არ მოდის, მაგრამ ის გამოიყენებს მათ ჩვენს გასაძლიერებლად და დასახმარებლად ვისიამოვნოთ უფრო მშვიდი, სტაბილური და სრული ცხოვრებით.

რთული პერიოდები ჩვენს ცხოვრებაში იწვევს ჩვენს ისეთ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, როგორებიც გვსურს რომ ვიყოთ. როცა შევეჯახებით სიტუაციას, რომელიც „ჩვენს თავს ზემოთაა“, იგი გვეხმარება ღმერთზე გავხდეთ დამოკიდებულნი, იმის ცოდნით, რომ ჩვენ ვერ გადავჭრით ყველა ჩვენს პრობლემას.

უფალს სურს მივიდეთ მასთან ჩვენი ძალით აღვსებისთვის და მივაღწიოთ წერტილს, სადაც სტაბილურობას შევინარჩუნებთ მაშინაც კი, როცა ცხოვრების განსაცდელებს შევეჯახებით. მას სურს რომ სიხარული

და კმაყოფილება გვქონდეს მასში, მაშინაც კი, როცა ჩვენი გარემოებები იდეალური არაა (იხ. ნეემიას 8:10).

როგორც ბრილიანტები იქმნება დიდი წნევის ქვეშ, ღმერთი ხშირად ჩვენი ცხოვრების სირთულეებს ჩვენს დასამდაბლებლად, ჩვენი ხასიათის განსავითარებლად, ჩვენს მის ხატად გარდასაქმნელად იყენებს... და გვამზადებს კარგი რაღაცებისთვის, რაც ჩვენი მომავლისთვის აქვს გამზადებული.

განსაცდელები გვეხმარება რომ ვენდოთ

წარმოუდგენლად დიდი თავისუფლებაა ღმერთის ნდობაში. როცა რაღაც ისე არ მიდის, იმის ნაცვლად რომ ნაწყენები დავრჩეთ, შეგვიძლია ვენდოთ რომ მას აქვს გეგმა, რომელიც უკეთესია ჩვენსაზე და ის საბოლოოდ ამ სიტუაციას ჩვენს სასიკეთოდ მოაწევს (იხ. რომაელთა 8:28).

ჩვენ უნდა გვესმოდეს ეს, რადგან ზოგჯერ, როცა პრობლემა გვაქვს, შეიძლება ღმერთზე გავნაწყენდეთ ან სხვა ადამიანებზეც კი, ვინც კურთხეულია. შესაძლოა, საკუთარი თავის გამმართლებელი დამოკიდებულება გვქონდეს, რომელიც ამბობს: „ნუ, მე შენზე უკეთესი ქრისტიანი ვარ. მე ვიმსახურებ ამ კურთხევებს“.

მაგალითად, შესაძლოა, სამსახურში დაწინაურება გინდა, მაგრამ ვილაც სხვამ მიიღო ეს შენს ნაცვლად. რა *უნდა გააკეთო?*

შეგიძლია განაწყენდე, თავი გაიმართლო და მართლა დაჭრა საკუთარი თავი სულიერად. ან შეგიძლია ღმერთს ენდო და თქვა: „უფალო, თუ ესაა სადაც გსურს რომ ახლა ვიყო, მაშინ ღიმილით მოვემსახურები ჩემს უფროსს. და ვიცი, თუ გსურს სადმე სხვაგან მომათავსო, შენ შეგიძლია ამის გაკეთება შენს სრულყოფილ დროს“.

მე ვისწავლე, რომ ღმერთი ჩვენზე ჭკვიანია. ზოგჯერ ის გვაიძულებს უარი ვთქვათ იმაზე, რაც გვსურს, რადგან მას სხვა მიზანი აქვს გონებაში - რაღაც უკეთესი, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა.

მაგალითად, ხშირად, ღმერთი უშვებდა რომ რთული გზებით მევლო. ზოგჯერ ეს ძალიან რთული იყო, განსაკუთრებით, როცა ვუყურებდი როგორ სწრაფად ჰქონდათ სხვა ადამიანებს გარღვევები იგივე სფეროებში.

მაგრამ როცა ღმერთი უშვებს რომ ამ გზით წავიდე, მას სურს გამოვცადო და გავიგო რაში გადიან ადამიანები, რათა მივხვდე მათ ტკივილს და დავეხმარო, წარმატებით გაიარონ ამ ყველაფერში.

ჩემს ცხოვრებაში არსებული რთული პერიოდები რომ არ ყოფილიყო, რომელთაც ღმერთი გამოიყენებდა ჩემს დასამხარებლად რომ გავზრდილიყავი და შევცვლილიყავი, ნამდვილად ვერ შევძლებდი იმდენ ადამიანს დავხმარებოდი, რამდენსაც ახლა ვეხმარები!

ღმერთი არასდროს დაგვპირებია უპრობლემო ცხოვრებას, მაგრამ ის დაგვპირდა, რომ არასდროს დაგვაგდებდა და დაგვტოვებდა (იხ. ებრაელთა 13:5). რთულ პერიოდებში, შეგვიძლია დავმშვიდდეთ იმის ცოდნით, რომ მას უსაზღვროდ ვუყვარვართ და უკვე აქვს გეგმა ჩვენს დასახმარებლად.

ღმერთი შენთანაა ამ ყველაფრის გავლისას

მინდა გაგამხნევო, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო ენდო ღმერთს შენი ცხოვრების ყველა ნაწილში, როცა ცხოვრების ქარიშხლები შემოგიტევს ან ისეთ რაღაცაში გადიხარ, რაც არ გესმის, აი როდის უნდა აირჩიო განაგრძო მისი ნდობა, არ აქვს მნიშვნელობა რას ფიქრობ ან გრძნობ, ან როგორ გამოიყურება შენი გარემოებები.

და როცა ენდობი ღმერთს ამ ყველაფერში, ის რაღაც სტაბილურს მოგცემს - *ის საკუთარი თავით მეტად აღგავსებს.*

რაიმე სირთულეში გადიხარ დღეს? არის განსაცდელი რომელიც გაშინებს? თუ ასეა, მოგიწოდებთ რომ ახლა დრო გამოყოთ და ილოცოთ.

„უფალო, მადლობას გიხდი, რომ ყოველთვის ჩემთან ხარ, კარგ პერიოდებშიც და მაშინაც, როცა ცხოვრება რთულდება. გთხოვ დამეხმარე მოგიახლოვდე, როცა ცხოვრება აზრს კარგავს. მე გენდობი და ვიცი, რომ ყველაფერს ჩემს სასიკეთოდ მოაწევ. იესოს სახელით, ვლოცულობ, ამინ“.

გახსოვდეს, რაშიც ახლა გადიხარ, სამუდამოდ არ გაგრძელდება. როცა რთულ პერიოდს გავდივარ, საკუთარ თავს ვახსენებ: „ესეც გაივლის“. ამ დროის განმავლობაში შეგიძლია აირჩიო, რომ ენდო ღმერთს და ნება მისცე სიხარულით აგავსოს გასაჭირის ჟამს.

ასევე კარგია დარჩე ღმერთის სიტყვაში და ისეთი მუხლებით გაამხნევო შენი თავი, როგორიცაა ესაიას 41:10. ღმერთი ამბობს: *„ნუ გეშინია [არაფრის უნდა გეშინოდეს], რადგან შენთან ვარ, ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ; განგამტკიცებ,* ***შეგეწევი და მხარს დაგიჭერ...“.***

რაშიც არ უნდა გადიოდე ახლა, გამხნევებ რომ ჩაეჭიდო და არ დანებდე. გადაწყვიტე, რომ შეინარჩუნებ კარგ დამოკიდებულებას და გააგრძელებ ღმერთის ნდობას, რადგან იესო შენთანაა ყველა ქარიშხლის დროს და შენ უფრო ძლიერი გამოხვალ მეორე მხარეს.

თავი 5

ყველაფერი ახალი

როცა იმედგაცრუებული ხარ და უიმედოდ გრძნობ თავს, ძალიან გეხმარება იმის გახსენება, თუ როგორ დაგეხმარა ღმერთი წარსულში. ასევე გამამხნევებელია, როცა საკუთარ თავს ახსენებ მის ერთგულებას სხვებისადმი, შენნაირი ადამიანებისადმი, რომელთაც საოცრად სჭირდებოდათ ღმერთის დახმარება.

ოდესმე დაკვირვებიხართ ყველა ადამიანს ბიბლიაში, რომელთაც ღმერთმა ახალი დასაწყისი მისცა?

მოსე მოხუცი კაცი იყო, სანამ ცეცხლმოკიდებულ ბუჩქს შეხვდებოდა და ღმერთი მოუწოდებდა, რომ ერს გაძღოლოდა. თუმცა, მანამდე მან 40 წელი გაატარა უდაბნოში მალვაში! მას წარმოდგენა არ ჰქონდა რა ჰქონდა დაგეგმილი ღმერთს (იხ. გამოსვლის 1-4).

დავითი, თავმდაბალი მწყემსი ბიჭი, იყო ცხებული, რათა ყოფილიყო ისრელის მეფე. ის ნამდვილად არავინ იყო, უკანასკნელი ადამიანი ვისაც ხალხი მეფედ აირჩევდა. მაგრამ ღმერთმა იგი გამოიყენა თავისი ხალხის წინამძღოლობისთვის (იხ. 1 სამუელის 16).

პეტრეს, მოციქულს, რომელმაც ქრისტე უარყო, ეპატია და მოწოდებულ იქნა, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე ქადაგებასა და ღმერთის განდიდებაში გაეტარებინა (იხ. ლუკას 22:54-62; იოანეს 21; საქმეების 3).

და **პავლე**, რომელიც ერთ დროს ღმერთის ერს დევნიდა, სრულიად გარდაიქმნა დამასკოს გზაზე და საბოლოოდ ახალი აღთქმის დიდი ნაწილი დაწერა! (იხ. საქმეების 9:1-22)

როცა ფიქრობ ყველა ამ ადამიანზე მთელს წმიდა წერილში, ვისაც ღმერთმა აპატია, გამოისყიდა და გამოიყენა ძლევამოსილად, შეიძლება ეჭვი შეიტანო იმაში, რომ მას იგივეს გაკეთება შეუძლია შენთვის?

ჩვენი ღმერთი იმედის ღმერთია. ის არის „თავიდან გაკეთების“, მეორე შანსის, ახალი დასაწყისის ღმერთი. და მას არ აქვს ლიმიტი, თუ რამდენი შეიძლება გქონდეს.

იმედის თვალით ყურება

გახსოვდეთ, იმედი ჩვენი სულის ღუზაა. როცა ყველაფერი მუქ ფერებში ჩანს და პასუხი არ გვაქვს, სწორედ აქ ჩნდება იმედი და გვახსენებს რომ ახალი დასაწყისის დროა.

როცა ჩანს, რომ სხვა ყველა კურთხევებს იღებს, ჩვენ კი დავიღალეთ და დანებებას ვაპირებთ, იმედი ამტკიცებს ჩვენს გულს და გვეხმარება რწმენით ჩავეჭიდოთ ღმერთის აღთქმებს.

კვლავ ვიტყვი, იმედი არის სასიამოვნო და დარწმუნებული მოლოდინი. ეს არის პოზიტიური დამოკიდებულება და ბედნიერი მოლოდინი, რომ რაიმე კარგი მოხდება.

ნამდვილი იმედი არ არის სურვილი და უაზრო „მოდი დაველოდები და ვნახავ რა მოხდება“ დამოკიდებულება, ეს არის დაჯერება და ნდობა, რომ რასაც ღმერთი დაგვპირდა გააკეთებს კიდეც. ღმერთი უბრალოდ ეძებს შესაძლებლობას, რომ კეთილი იყოს თავისი შვილები-

სადმი და მას სურს, რომ ჩვენც იგივე მოლოდინი გვქონდეს!

1 თესალონიკელთა 5:8-ში იმედი აღწერილია როგორც ჩაჩქანი. ასე რომ, რას *ვფიქრობთ*, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი დამოკიდებულება და ის, თუ რას მოველით, განსაზღვრავს იმას, თუ რას ვფიქრობთ და ვამბობთ!

მოგიწოდებთ, რომ პირველი, რასაც ყოველ დილას გააკეთებთ, იყოს აკონტროლოთ თქვენი აზრები და სიტყვები. როცა იღვიძებ არ გქონდეს ასეთი აზრები: „ნუ, ვფიქრობ, კიდევ ერთი დღე გავუძლებ“.

ამის ნაცვლად, კარგის მოლოდინი გქონდეს ღმერთისგან. იფიქრე და განაცხადე ასეთი რაღაცები:

„ღმერთო, მადლობა ამ დღისთვის! ვიცი, რომ გიყვარვარ და კარგი გეგმა გაქვს ჩემთვის დღეს. შენ გარეშე, ვერაფერს გავაკეთებ, მაგრამ ქრისტეში, შემიძლია გავაკეთო ყველაფერი რაც საჭიროა. და შენი დახმარებით, კარგი დამოკიდებულება და პოზიტიური ფიქრები მექნება“.

შემდეგ კი დაელოდე გარღვევას და ახალ დასაწყისს. თქვი: „დღეს შეიძლება იყოს ის დღე!“

მნიშვნელოვანია გააცნობიერო, რომ არ შეგვიძლია გრძნობების მიხედვით ვიცხოვროთ, თუ გვსურს პოზიტიური, იმედით სავსე ცხოვრება. როცა უარყოფითი აზრები მოდის, თუ არ დავნებდებით და მათ არ გამოვკვებავთ, ისინი მოკვდებიან.

ამრიგად, ნებას ნუ მისცემ შენს თავს ლოდინის ხაფანგში გაება, რათა იმედი იგრძნო, ამის ნაცვლად, გადაწყვიტე, რომ იყო იმედით სავსე. როცა გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას იღებ რომ პოზიტიურად იფ-

იქრო, რწმენით სავსე აზრები გქონოდეს მთელი დღე, საბოლოოდ, შენი განცდებიც შენს გადაწყვეტილებასთან მოვა თანხმობაში!

გამოდი შენი კარვიდან

რამდენიმე წლის წინ, უფალს ვკითხე: „რატომ აღარ ხდება ჩემს ცხოვრებაში აღმაფრთოვანებელი, განსაკუთრებული რაღაცები?“ ღმერთი დაელაპარაკა ჩემს გულს და მითხრა: „ჯოის, მე კვლავ ყოველთვის ვაკეთებ ამ რაღაცებს. შენ უბრალოდ შეეჩვიე“.

ღმერთს უნდა, რომ მისი ჩვენდამი სიკეთით გაოცებულებმა ვიცხოვროთ... რომ აქტიურად შევამჩნიოთ რეალურად დიდებული რაღაცები, რასაც ჩვენთვის აკეთებს. რატომ? რადგან როცა აღფრთოვანებულები ვცხოვრობთ, არასდროს ვიქნებით იმედის გარეშე! მოდი, აბრაჰამის ისტორიას შევხედოთ...

ღმერთმა გულუხვად აკურთხა აბრაჰამი. თუმცა, იყო ერთი რამ რაც მას და მის ცოლს, სარას არ ჰქონდათ - შვილი. აბრაჰამმა თქვა: „...*უფალო ღმერთო! რა უნდა მომცე? [ამ ქვეყნიდან] უშვილოდ გადავდივარ...*“.

გაიყვანა [ღმერთმა] გარეთ [თავისი კარვიდან] და უთხრა: „ახედე ზეცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვა“ . მერე უთხრა: „შენი შთამომავლობაც ასე იქნება“. (დაბადება 15:2,5)

მიუხედავად იმისა, რომ აბრაჰამის გარემოებები მძაფრი იყო, უფალმა გაიყვანა იგი თავისი კარვიდან, რათა გაეოცებინა და შეეხსენებინა, რომ მას შეუძლებლის გაკეთებაც შეუძლია.

მჯერა, ყველამ შეიძლება ზედმეტად დიდი დრო გავატაროთ „ჩვენს კარავში“, ჩვენი პრობლემების ყურებაში. აი, რატომ ამბობს ბიბლია, რომ თვალი ავარიდოთ

ცხოვრების უწესრიგობებს და ვუმზიროთ იესოს, ჩვენი რწმენის ავტორსა და სრულმყოფს (იხ. ებრაელთა 12:2).

ყოველთვის, როცა ლოცვას, მისი სიტყვის კითხვას ან უბრალოდ, მის მიერ ჩვენს ცხოვრებაში წარსულში გაკეთებულ დიდებულ რაღაცებზე ფიქრს გადავწყვეტთ, ეს იმედს ქმნის. და აბრაჰამის მსგავსად, მალე ვიწყებთ ფიქრს: ვაუ, იქნებ მას შეუძლია ჩემთვის ამის გაკეთება!

როცა რთული პერიოდია და იმედგაცრუებას გრძნობ, დროა კარვიდან გამოხვიდე და შეხედო რას ამბობს ღმერთი. როცა ასე მოიქცევი, აღმოაჩენ, რომ ის უბრალოდ ელოდება, რომ აღგაფრთოვანოს.

გაორმაგებული, შენი პრობლემის გამო

თუ მე მგავხარ, შენთვის მარტივია იმედი გქონდეს სხვისთვის. ჩემთვის დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს სხვების გამხნევება სიტყვებით: „ყველაფერი გამოვა, უბრალოდ ენდე ღმერთს და ის ყველაფერს შემოაბრუნებს“.

მაგრამ როცა საქმე ჩვენ გვეხება? ეს სხვა ამბავია! როცა მტკივნეული თუ იმედგამაცრუებელი მომენტის შუაში ვართ, ძალიან მაცდუნებელია ვიფიქროთ, რომ *ყველაფერი დამთავრდა. ჩემთვის უკვე ძალიან გვიანია.*

მაგრამ ძალიან გვიანი არაა! არასდროსაა ძალიან გვიანი ახალი დასაწყისისთვის, როცა ქრისტეში გაქვს ცხოვრება. შენი წარსული შენს ბედს არ განსაზღვავს. თუ უარყობ იმედის დაკარგვას და ნებას მისცემ სულიწმიდას რომ გაგიძღვეს, ღმერთი არა მხოლოდ იმას აღადგენს, რაც გქონდა, არამედ შენს ცხოვრებას უკეთესად აქცევს.

ძალიან მიყვარს იოველის 2:25-26. როცა წაიკითხავთ, გულთან მიიტანეთ ეს სიტყვები. მიიღეთ იგი დღეს.

„გადაგიხდით იმ წლებისას, როცა ჭამდა მღრღნელი და კალია, მატლი და მწერი - ჩემი დიდი ლაშქარი, თქვენ რომ შემოგისიეთ. ბლომად შეჭამთ, გაძღებით და განადიდებთ უფლის, ღვთის სახელს, რომელიც საკვირველად მოგექცათ და აღარასოდეს შერცხვება ჩემი ხალხი“.

ახალგაზრდობაში, დარწმუნებული ვიყავი რომ ფაქტმა, რომ ძალადობის მსხვერპლი ვიყავი როგორც ბავშვი, მომავალი წამართვა. ვგრძნობდი, რომ ველარასდროს ვიქნებოდი როგორც სხვები და ველარასდროს მექნებოდა ისეთი ცხოვრება როგორიც უნდა მქონოდა.

მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია ღმერთით! როცა ჩვენ ჩიხს ვხედავთ, ის ახალ დასაწყისს ხედავს. მას სურს, რომ აიღოს ჩვენი წარსულის ტკივილი და არა მხოლოდ განკურნოს იგი, მას სურს იმაზე მეტი აღგვიდგინოს, ვიდრე თავიდან გვექნებოდა!

ჩემთან ერთად შეხედეთ ესაიას 61:7-ს. იგი ამბობს: *„ნაცვლად სირცხვილისა, ორმაგად განდიდდებიან; დამცირების წილ იყიჟინებენ, თავიანთ მიწაზე ორმაგს დაეუფლებიან და საუკუნო სიხარულს დაიმკვიდრებენ“.*

ხშირად ვამბობ რომ ღმერთთან ერთად, თუ გეგმა ა ჩაფლავდება, მას ყოველთვის აქვს გეგმა ბ და ის გეგმა ა-ზე უკეთესიც კია! ღმერთი აღდგენისა და ახალი საწყისის ღმერთია. თუ ნებას მისცემ, ახალ საწყისს მოგცემს, ორმაგს მოგცემს! და ეს იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე შეგიძლია წარმოიდგინო.

თავი 6

როგორ აიხედო მაღლა, როცა თავს დაცემულად გრძნობ

ყველა განვიცდით ცხოვრებაში პერიოდებს, როცა თავს სხვადასხვა მიზეზის გამო, დაცემულად ვგრძნობთ, მაგრამ ჩვენ ნებას ვერ მივცემთ ჩვენს გარემოებებს აკონტროლოს ჩვენი ემოციები.

სატანა ცდილობს ჩვენი გონება ნეგატიური აზრებით გაავსოს, რაც საბოლოოდ სიხარულს დაგვაკარგინებს და დაგვადარდიანებს. ის უკან დამხევია და სურს, რომ უკან დაგვხიოს ემოციურად, სულიერად, ფინანსურად და ყველა ასპექტში, რასაც კი შეძლებს.

მაგრამ იესო ჩვენი გამამხნევებელია და ის მოვიდა ჩვენს ასამაღლებლად! ის მოვიდა, რათა ჩვენთვის გამართლება, მშვიდობა და სიხარული მოეტანა. მას სურს, რომ კარგს მოველოდეთ ჩვენი მომავლისთვის და იმედით აგვავსოს.

ყველა განიცდის იმედგაცრუებისა და დარდის პერიოდებს შეუსრულებელი გეგმებისა თუ ოცნებების გამო. როცა ყველაფერი ისე არ მიდის როგორც ვიმედოვნებდით, ნორმალურია რომ იმედგაცრუება ვიგრძნოთ.

მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ როგორ ვუმკლავდებით ამ გრძნობებს, რადგან თუ ზედმეტად დიდხანს დავრჩებით მათში, შეიძლება დეპრესიამდე მივიდეთ.

ფსალმუნის 30:5 გვეუბნება: *„...ღამით გლოვა დაისადგურებს, განთიადისას კი - სიხარულის ყიჟინა“.*

რაღაცებმა შესაძლოა დროებით დაგვაღონოს, მაგრამ არ უნდა დავრჩეთ მწუხარენი. თუ ასე მოვიქცევით, მტერი ღია კარს უპირატესობად იღებს და მის გზას კიდევ უფრო ავრცელებს ჩვენს ცხოვრებაში, მეტი სერიოზული პრობლემის მოტანით.

თუმცა, ღმერთთან ერთად, როცა იმედგაცრუებულები ვხდებით, ყოველთვის შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ხელახლა აღვიჭურვოთ. შეგვიძლია ავირჩიოთ შევხედოთ მას ახალი იმედისთვის და განახლებული ძალებისთვის, რათა წინ წავიდეთ.

ყურადღება მიაქციე შენს გრძნობებს

თუ ოდესმე განგიცდია დეპრესია, იცი, რომ ეს ძალიან რეალურია. მან შეიძლება თავი იზოლირებულებად, მარტო მყოფად და უიმედოდ გვაგრძნობინოს... თითქოს ჩვენ გარშემო ყველაფერი ერთმანეთს შორდება.

ახლა, ვაცნობიერებ რომ დეპრესია შესაძლოა იყოს ფიზიკური და ქიმიური დაუბალანსობის შედეგი და არ მინდა უგულებელვყო ეს მიზეზები. არის პერიოდები, როცა უფალი ვიღაცას გაუძღვება, რომ მივიდეს გამოცდილ სამედიცინო სფეროს პროფესიონალთა ან ფსიქოლოგთან, რომელიც დაეხმარება პრობლემის ფესვამდე ჩასვლაში. მჯერა, რომ სამედიცინო ცოდნა ღმერთისგან მოდის და ექიმების მეშვეობით მოქმედებს დიდებული რაღაცების გასაკეთებლად.

თუმცა, ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, დეპრესია სულიერი პრობლემაცაა. ხედავთ, სატანა იყენებს დეპრესიას, რომ მოიპაროს ადამიანის სულიერი ძალა და თავისუფლება - მას სურს, რომ ჩვენი გონება სიბნელითა და მწუხარებით აავსოს და ემოციურად დაგვცეს.

მაგრამ ღმერთს უნდა, რომ დაგვეხმაროს დეპრესიისგან თავისუფლებმა ვიცხოვროთ. მას სურს, რომ თავისი სიხარულით, იმედითა და კარგის მოლოდინით აავსოს ჩვენი ცხოვრება. მასთან თანამშრომლობისთვის, ერთი რაც უნდა გავაკეთოთ, არ ვისწავლოთ, არ ვიცხოვროთ ჩვენი გრძნობების მიხედვით.

ხშირად მითქვამს, რომ ემოციები შესაძლოა ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი მტერი იყოს. მარტივია გმართოს იმან, თუ რას გრძნობ, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გრძნობები ცვალებადია, ისინი დღიდან დღემდე იცვლება!

არ უნდა მივყვეთ ყველა ფიქრსა თუ განცდას, რაც მოდის, რადგან ისინი ხშირად, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს იმ ჭეშმარიტებას, რასაც ღმერთი ამბობს ჩვენზე.

ჩემი ცხოვრების მრავალი წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ დეპრესიას განვიცდიდი. დილას ვიღვიძებდი და ჩემს თავში რაღაც ხმა ამბობდა: „თავს დეპრესიულად ვგრძნობ“. მჯეროდა, რომ ეს ჩემი აზრი იყო და ვერ ვაცნობიერებდი, რომ მტერი ცდილობდა სიცრუე ელაპარაკა ჩემს გონებაში.

მოგვიანებით, როცა ღმერთმა უფრო მიმიახლოვა და მისი სიტყვის სერიოზულად სწავლა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ არ უნდა ავყოლოდი ყველა გრძნობასა და აზრს, რაც კი მექნებოდა. დავიწყე ხმამაღლა ლაპარაკი და ვამბობდი: „მე არ ვიქნები იმედგაცრუებული ან დეპრესიული!“

ჩვენ ყოველთვის გვექნება გრძნობები - ისინი არასდროს დაგვტოვებს. თუმცა, ჩვენ გვაქვს არჩევანი მივცემთ თუ არა ჩვენს გრძნობებს უფლებას მითითებები მისცენ ჩვენს ცხოვრებას.

ალწერე შენი ფიქრები

გონება კიდევ ერთი ძირითადი გასაღებია იმედგაცრუებისა და დეპრესიის გადასალახად. იცოდი, რომ რაზეც ფიქრობ, იმან შეიძლება გავლენა მოახდინოს შენი ცხოვრების ყველა სფეროზე?

იგავების 23:7 ამბობს: *„როგორც გულში ფიქრობს [კაცი], ისეთია იგი...“*

ჩვენი გონება ძლევამოსილია! როცა ვირჩევთ ვკონცენტრირდეთ უარყოფით რაღაცებზე ჩვენ შესახებ ან ცუდ რაღაცებზე რაც გადაგვხდა, იგი კვებავს ჩვენს იმედგაცრუებასა და დეპრესიას.

წლების წინ, მკერდის კიბოს ვებრძოდი და ეს მართლა გამოცდის დრო იყო ჩემთვის. ვიცოდი, დიდი ხანი არ დასჭირდებოდა ჩემს კიდემდე მისვლას, თუ ნებას მივცემდი ჩემს გონებას ნეგატიურად ეაზროვნა.

ამ დროის განმავლობაში, ღმერთმა ჩადო ჩემს გულში, რომ ჩემი გონება შემდეგი რაღაცებით ამევსო, შემდეგ ეს ყველაფერი რაც შეიძლებოდა ხმამაღლა გამემეორებინა. მე ვფიქრობდი და ვამბობდი:

„ღმერთო, ვიცი რომ გიყვარვარ. მჯერა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ ეწევათ მათ, რომელთაც უყვარხარ და მოწოდებულნი არიან შენი მიზნის თანახმად. ჩემს ნდობას შენზე ვდებ და არ შემეშინდება“. (იხ. რომაელთა 8:28, 35-39; იესო ნავეს ძე 1:99; იგავთა 3:5)

ხედავთ, რაც უფრო მეტ დროს ატარებთ მისი სიტყვის კითხვაში და მასზე ფიქრში, მეტად შემოდის შენში და იწყებს შენს შეცვლას შიგნიდან გარეთ.

ებრაელთა 4:12 ამბობს, რომ ღმერთის სიტყვა *არის ცოცხალი და მოქმედი*. მას აქვს უნარი შეცვალოს, თუ როგორ უყურებ შენს თავს და მომავალსაც კი.

როცა შენს გონებას იმით აავსებ, რასაც უფალი შენზე ამბობს და განაცხადებ მის აღთქმებს, როგორც შენსას, ეს იმედს მოიტანს და შენს რწმენას ააშენებს.

ბიბლიური რეცეპტი დეპრესიისთვის

როგორც ვახსენე, დეპრესია ზოგჯერ ფიზიკური და ქიმიური პრობლემის შედეგია და მჯერა, რომ მნიშვნელოვანია ნება მივცეთ ექიმებს დაგვეხმარნონ, როგორც ღმერთი წაგვიძღვება. მაგრამ მაშინაც კი როცა ექიმთან მივდივარ, ვფიქრობ კარგია დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს ნდობას ღმერთზე, ჩვენს მკურნალზე ვამყარებთ.

თუმცა, დეპრესია ხშირად სულიერი ბრძოლაცაა... და ბიბლია დიდებულ ინსტრუქციებს გვაძლევს, თუ როგორ ვებრძნოლოთ მას.

ესაიას 61:3 გვეუბნება, რომ შევიმოსოთ *„ქების მოსასხამით, უძლურების სულის სანაცვლოდ...“.*

ყოველთვის შეიძლება არ გვქონდეს ღმერთის განდიდების განწყობა, მაგრამ დროის გამოყოფა უფალთან სასაუბროდ და მისი მადლიერება მისი სიკეთისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია, რითიც უნდა ვებრძოლოთ იმედგაცრუებასა და დეპრესიას.

ჩვენ ვეპატიჟებით ღმერთის თანდასწრებას ჩვენს სიტუაციაში, რასაც მოაქვს ჩვენთვის მისი ძალა, მშვიდობა და სიხარული. ფილიპელთა 4:4 ამბობს: *„მარადის იხარეთ [იყავით ნასიამოვნები, ბედნიერები] უფალში და კიდევ გეტყვით, იხარეთ!“*

უფლის განდიდება ტკივილის ჟამს უდიდესი რამაა, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. რატომ? რადგან როცა ვირჩევთ რომ ჩვენი ყურადღება ღმერთისკენ მივმართოთ და გავიხაროთ იმ სიკეთეებით, რაც მან გააკეთა, ჩვენ განვადიდებთ მას ჩვენს პრობლემებზე მეტად.

სიმართლე ისაა, რომ ღმერთი ყოველთვის კარგია, მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში. ის არის ჩვენი სიხარულის წყარო და შეგვიძლია ნებისმიერ დროს მივირბინოთ მასთან შვებისთვის, როცა კი დაგვჭირდება.

ამას მივყავარ ფსალმუნის 16:11-მდე. იგი ამბობს: „... *სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე, შენს მარჯვნივ ყოფნა ნეტარებაა უკუნისამდე“.*

როცა თაყვანს ვცემთ ღმერთს, მის თანდასწრებას ვეპატიჟებით ჩვენს ცხოვრებაში. იგი ჩვენს იმედგაცრუებასა და დარდს თავისი სიხარულითა და მშვიდობით ცვლის... იმედს გვაძლევს და ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ჩვენს სიტუაციას.

ყოველთვის ვერ შევცვლით ყველაფერს რაც ჩვენ გარშემო ხდება, მაგრამ ღმერთის თანდასწრება შეგვცვლის, შეცვლის იმას, თუ როგორ ვფიქრობთ, როგორ ვგრძნობთ და როგორ ვუყურებთ ჩვენს გარემოებებს.

ნება მიეცი ღმერთს წაიღოს შენი ტკივილი

არასდროს ვიქნებით სრულიად თავისუფალნი განცდილი ტკივილისა თუ იმედგაცრუებისგან, მაგრამ ნება არ უნდა მივცეთ იმას რაც დღეს ხდება, გააფუჭოს ხვალინდელი დღე.

ჩვენ არჩევანი გვაქვს. ჩვენ რეალურად შეგვიძლია ყველაფერი შემოვაბრუნოთ, თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას, გავუშვათ სიტუაციები, რომელთაც იმედგაცრუება და დეპრესია გამოიწვია და წინ წავიდეთ კარგი რაღაცებისკენ, რაც ღმერთმა დაგეგმა ჩვენი მომავლისთვის.

მიყვარს 1 პეტრეს 5:9, რომელიც ამბობს: „*წინ აღუდექით [ეშმაკს]* ...“. ძალიან მნიშვნელოვანია მა-

შინვე შევეწინააღმდეგოთ იმედგაცრუებისა და დეპრესიის გრძნობებს, რადგან რაც უფრო მეტი ხნით დარჩენის უფლებას მივცემთ, მით უფრო რთული იქნება მათი შეწინააღმდეგება!

წლებია ამას ვამბობ: თუ ნებას არ მისცემ სატანას შთაბეჭდილება მოახდინოს შენზე იმით, რასაც აკეთებს, ვერ შეძლებს შენს შევიწროებას; და თუ ვერ შეძლებს შენს შევიწროებას, ვერ შეძლებს შენს დეპრესიაში ჩაგდებას.

შემდეგში როცა შეეჯახები სიტუაციას, რომელიც გაშინებს, რომ დაგცემს, მიიღე გადაწყვეტილება, რომ სულიწმიდისკენ შებრუნდე და ნება მისცე მას იმედით აგავსოს. აირჩიე გჯეროდეს იმის, რასაც ღმერთი ამბობს და არა შენი გრძნობების. აავსე შენი გონება და ბაგე პოზიტივით, იმედიანი სიტყვებით ღმერთის სიტყვისგან.

ნება არ უნდა მისცე იმედგაცრუებასა და დეპრესიას მართოს შენი ცხოვრება. როცა „ცხოვრებაში რაღაც ხდება“ ნება მიეცი იმედის ღმერთს გაგაძლიეროს და გაგამხნევოს შიგნიდან გარეთ.

რადგან მნიშვნელობა არ აქვს რაში გადიხარ, ღმერთი მზადაა და სურს დაგეხმაროს წაიღოს შენი ტკივილი... *და იგი რაიმე დიდებულად აქციოს.*

დასკვნა
რთულ პერიოდს გადიხარ?

თუ ახლა რთულ პერიოდს გადიხარ, მინდა იცოდე რომ ღმერთს უყვარხარ. ის ხედავს რა პროცესებს გადიხარ, ის შენთანაა და სურს დაგეხმაროს იქ, სადაც ხარ.

ფსალმუნის 34:18 ამბობს: *„ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან და სულით მორჩილებს იხ-სნის“.* როცა გვტკივა, ღმერთი ჩვენთანაა!

ახლა, ამ წუთას, შეიძლება ისეთი სიტუაციის წინაშე ხარ, რაც შეუძლებლად გეჩვენება. მაგრამ მინდა იცოდე, რომ ღმერთს შეუძლია ყველაფერი განაახლოს. მას შეუძლია აიღოს შენი პრობლემა და იგი რაიმე კარგად აქციოს.

თუ რთულ სიტუაციებს ებრძვი ან რაღაცას, რაც გაშინებს და გთრგუნავს, მოგიწოდებ დრო გა-მოყო და ახლავე ილოცო:

„მამა, მე მჭირდები ახლა. შენ ამბობ, რომ გი-ყვარვარ და ზუსტად ხედავ სად ვარ... და იმის მიუხედავად, თუ რას ვგრძნობ, მე ვირჩევ შენი სიტყვის დაჯერებას. იმ ყველაფრის წინაშე რაშიც გავდივარ, მე შენ მოგაპყრობ თვალს დასახმარებლად. მე მჭირდება შენი ძალა რომ

გავუმკლავდე ყველაფერს, რაც ახლა ძალიან დიდი მეჩვენება. დამეხმარე, რომ ჩემი მზერა ყოველთვის შენზე იყოს. გთხოვ გახადე შენი თავი ჩემთვის რეალური... და გამამხნევე ჩემს გზაზე. დამეხმარე განვიცადო და ვიგრძნო შენი სიყვარული და თანდასწრება. ყველაფერს შენ გაძლევ. იესოს სახელით, ამინ".

მე ასევე მოგიწოდებ, რომ დრო გამოყო და წაიკითხო ქვემოთ მოყვანილი მუხლები. ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრა, რომ ღვთის სიტყვა შეცვლის შენს ცხოვრებას, იმას თუ როგორ ფიქრობ, რას გრძნობ... და იმასაც კი, თუ როგორ უყურებ შენს მომავალს.

მიყვარს იერემიას 29:11. ის ამბობს, რომ ღმერთს სასიკეთო გეგმები აქვს შენი მომავლისთვის - მშვიდობის გეგმები... გეგმები, რომელიც იმედს მოგცემს.

ყოველთვის გახსოვდეს, რომ ღმერთი შენს მხარესაა. ის შეუძლებლის ღმერთია ... *და ის ერთადერთი, ვისაც შეუძლია სასწაული მოახდინოს ნებისმიერი სიტუაციისთვის.*

ღმერთს უყვარხარ

„სამუდამო სიყვარულით შეგიყვარე, ამის გამო მიგიახლოვე წყალობით".

იერემიას 31:3

„რადგან მთები დაიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი წყალობა კი არ დაიძვრება და

ჩემი მშვიდობის აღთქმა არ შეირყევა შენგან, ამბობს უფალი, შენი შემბრალე“.

ესაია 54:10

„ჩემი ხეტიალი აღრიცხული გაქვს; შენს ჭურჭელში მოათავსე ჩემი ცრემლები - განა შენს წიგნში არ არიან ისინი?“

ფსალმუნი 56:8

„სანამ მუცელში გამოგსახავდი, მანამდე გიცნობდი, სანამ საშოდან გამოხვიდოდი გამოგარჩიე...[როგორც ჩემი რჩეული ჭურჭელი]“.

იერემია 1:5

ღმერთი დაგეხმარება

„ნუ გეშინია, რადგან შენთან ვარ, ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ; განგამტკიცებ, შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმართლის მარჯვენით“.

ესაია 41:10

„სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტების არ შემეშინდება, რადგან შენა ხარ ჩემთან...“

ფსალმუნი 23:4

„ვეძებდი უფალს და მიპასუხა, დამიხსნა ყველა ჩემი შიშისგან“.

ფსალმუნი 34:4

„ვერ წაგლეკავენ წყლები და მდინარეები, როდესაც მათში გაივლით, რადგან მე ვიქნები თქვენთან. ვერც ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ“.

ესაია 43:2

ღმერთი შენი იმედია

„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“.

იერეია 29:11

„რადგან თქვა [ღმერთმა]: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ!“

ებრაელთა 13:5

„ვინაიდან ღმერთთან არცერთი მისი ნათქვამი არ იქნება შეუძლებელი...“

ლუკა 1:37

„მიანდე უფალს შენი საზრუნავი და ის განგამტკიცებს [გაგათავისუფლებს მისი სიმძიმისგან], არასოდეს დაუშვებს მართლის წაბორძიკებას...“

ფსალმუნი 55:22

„როდესაც მეშინია, შენზე ვდებ იმედს“.

ფსალმუნი 56:3

ღმერთია შენი მშვიდობა და ძალა

„გულგატეხილებს განკურნავს და ჭრილობებს უხვევს მათ [კურნავს მათ ტკივილს და მწუხარებას]“.

ფსალმუნი 147:3

„დაქანცულს ძალას აძლევს და უძლურს ძლიერებას ჰმატებს. უფლის მომლოდინენი კი ძალას განიახლებენ, არწივივით გაშლიან ფრთებს, გაიქცევიან და არ დაიღლებიან, ივლიან და არ დაიქანცებიან“.

ესაია 40:29,31

„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ!“

მათე 11:28

„ღმერთია ჩვენი თავშესაფარი და ძალა, სწრაფი შემწე გაჭირვების ჟამს“.

ფსალმუნი 46:1

ხსნის ლოცვა

ღმერთს უყვარხარ და სურს პირადი ურთიერთობა ჰქონდეს შენთან. თუ იესო ქრისტე პირად მხსნელად არ მიგიღია, ახლა შეგიძლია ამის გაკეთება. უბრალოდ გახსენი გული მისთვის და ილოცე ამ ლოცვით...

„მამა, ვიცი, რომ შენს წინაშე შევცოდე. გთხოვ მომიტევო. გამწმინდე. გპირდები მივენდობი იესოს, შენს ძეს. მჯერა, რომ ის ჩემთვის მოკვდა და ჩემი ცოდვა თავის თავზე აიღო. მჯერა, რომ მკვდრეთით აღდგა. ახლა ჩემს ცხოვრებას იესოს ვანდობ. მადლობა მამა, შენი პატიებისა და საუკუნო სიცოცხლის ჩუქებისთვის. გთხოვ დამეხმარე, რომ შენთვის ვიცხოვრო. იესოს სახელით, ამინ“.

თუ გულით ილოცე, ღმერთმა მიგიღო, გაგწმინდა და გაგათავისუფლა სულიერი სიკვდილის უღლისგან. დრო გამოყავი, რომ წაიკითხო და შეისწავლო ეს მუხლები და სთხოვე ღმერთს დაგელაპარაკოს, როცა შენს ახალ ცხოვრებას დაიწყებ მასთან ერთად.

იოანე 3:16	1 კორინთელთა 15:3-4	ეფესელთა 1:4
ეფესელთა 2:8-9	1 იოანე 1:9	1 იოანე 4:14-15
1 იოანე 5:1	1 იოანე 5:12-13	

სთხოვე ღმერთს დაგეხმაროს იპოვო კარგი ეკლესია, რომელსაც სწამს ბიბლიის და გაგამხნევებს, რომ გაიზარდო ქრისტესთან ურთიერთობაში. ის ყოველთვის შენთანაა. ის წაგიძღვება ერთ დღეს და გაჩვენებს როგორ იცხოვრო უხვი ცხოვრებით!

თუ მზად ხარ დაიწყო შენი, პირადი მოგზაურობა იესოსთან ერთად ან შეიძლება გინდოდეს უფრო კარგად გაიცნო იგი, ეწვიე საიტს:

tv.joycemeyer.org/Georgian

ავტორის შესახებ

ჯოის მაიერი არის ნიუ-იორკ თაიმსის ყველაზე გაყიდვადი ავტორი და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბიბლიის მასწავლებელი. *„ჯოის მაიერის მსახურების“* მეშვეობით იგი ასწავლის პრაქტიკულად და წრფელად, ღიად უზიარებს თავის გამოცდილებას და ეხმარება მილიონობით ადამიანს მიიღონ ბიბლიური პრინციპები თავიანთ სიტუაციებში და საბოლოოდ იპოვონ იმედი და აღდგენა იესო ქრისტეში. მისი წიგნი *„გონება ბრძნოლის ველია“* მუდმივად ბესთსელერია, ასწავლის ადამიანებს როგორ მოიგონ ომი თავიანთ გონებაში და „იფიქრონ იმაზე, თუ რაზე ფიქრობენ“. ჯოისი მართავს კონფერენციებს აშშ-ში და მსოფლიოს გარშემო და მისი *„ყოველდღიური ცხოვრებით სიამოვნების“* პროგრამა გადაიცემა ტელევიზიით, რადიოში და ონლაინ მილიონობით ადამიანს დაახლოებით 100 ენაზე. იგი ასევე დაახლოებით 130 წიგნის ავტორია, რომლებიც ჯამში 155 ენაზეა თარგმნილი.

ჯოის მაიერის მსახურება

ვუზიარებთ ქრისტეს - გვიყვარს ადამიანები

„ჯოის მაიერის მსახურება“ ჰქვია სახარების გავრცელებას, ერების დამოწაფებას და ქრისტეს სიყვარულის გავრცელებას.

მედიის მეშვეობით ჩვენ ვასწავლით ადამიანებს, თუ როგორ მიიღონ ბიბლიური ჭეშმარიტება მათი ცხოვრების ყველა ასპექტში და გაამხნევონ ღვთის ადამიანები ემსახურონ მსოფლიოს. ჩვენი მისიებით, *იმედის ხელი*, ჩვენ გლობალურ ჰუმანიტარულ დახმარებით უზრუნველვყოფთ, ვკვებავთ მშიერს, ვმოსავთ გაჭირვებულს, ვემსახურებით მოხუცს, ქვრივსა და ობოლს და ვწვდებით ყველა ასაკის და ყველანაირი ცხოვრების მქონე ადამიანს.

ჯოის მაიერის მსახურებები დაფუძნებულია რწმენით სავსე მიძღვნილ მხარდაჭერებზე, რომლებიც იზიარებენ ამ მოწოდებას.

***

დამატებითი გამხნევების მისაღებად *„ჯოის მაიერის მსახურებებიდან“*, გთხოვთ ეწვიეთ საიტს:

tv.joycemeyer.org/Georgian

შენ არ ხარ მარტო!

რთულ პერიოდს გადიხარ? არ აქვს მნიშვნელობა მოულოდნელად ტრაგედიას შეეჯახე, სერიოზულ სამედიცინო პრობლემას თუ ის გაფიქრებს, ხვალ რა უნდა ჭამო, ღმერთს არ სურს მარტო აღმოჩნდე ამ ბრძოლაში. ნაცვლად ამისა, ყველაზე დიდი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია არის მივენდოთ მას, რადგან ვიცით, რომ ის ჩვენთან არის და შეგვიძლია *იმედით* სავსენი დავრჩეთ.

ამ წიგნში ჯოისი ასწავლის:

- როგორ მიიღო ღმერთის მშვიდობა რთულ პერიოდში
- რატომ შეუძლია პერსპექტივის შეცვლას სრულიად შეცვალოს შენი დღე
- როგორ დაიწყო ხელახლა და უკან მოიტოვო წარსული
- ბიბლიური გასაღებები დეპრესიასთან და იმედგაცრუებასთან საბრძოლველად

რაშიც არ უნდა გაგევლო, ეს წიგნი დაგეხმარება აიმაღლო მოლოდინი და არასდროს დაკარგო ღვთის რწმენა. ყველაფრის შემდეგ, ის ხომ „იმედის ღმერთია“ (იხ. რომაელთა 15:13), ის არის ერთადერთი, ვისაც შეუძლია აიღოს შენი სიტუაცია და რაღაც დიდებულად აქციოს.

ჯოის მაიერის მსახურება

ვუზიარებთ ქრისტეს – გვიყვარს ადამიანები
© 2021 ჯოის მაიერის მსახურება